

წინასიტყვაობა

1995 წლის დასაწყისში ქართულ პოლიტიკურ სცენაზე დატრიალებული მოვლენები პოლიტიკური ანგარიშწორების კლასიკური ნიმუშია. ამ მოვლენებს საფუძველი დაედო ქვემო ქართლში ჩატარებული სპეცოპერაციით, რომელმაც მთლიანობაში 1995 წელი განსაზღვრა არსებული ხელისუფლების ლეგიტიმაციის წელიწადად. ქვემო ქართლში უშიშროებისა და პოლიციის ქვედანაყოფებით განხორციელებულ სპეცოპერაციას ხელმძღვანელობდა მარნეულის გამგებელი, უშიშროების პოლკოვნიკი ბესიკ ობოლაძე.

1995 წლის დასაწყისისათვის საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შეფასებისათვის მოვახდენთ ციტირებას გაზეთ „მსგებსში“ (27-29.XII.95. #31(63)) გამოქვეყნებულიერთ ერთი „სტატიიდან“ (1995 წელი „ქართული გამყინვარება“ ლევან აბაშიძე): „... თ.კიტოვანის განადგურება ედუარდ შევარდნაძისათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, ვინაიდან საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი საზოგადოებაში რაიმე განსაკუთრებული მხარდაჭერით არ სარგებლობდა. გაცილებით უფრო რთული ამოცანა იყო ჯაბა იოსელიანისა და მისი მხედრიონის დამხობა, რადგან „ბებერ მოჯაჰედინს“ აშკარად, თუ ფარულად მხარს უჭერდა არა მხოლოდ მძლავრი ფინანსური კლანი, რომელიც სამხედრო გადატრიალების შემდეგ სამხედრო სტრუქტურებში დამკვიდრდა, არამედ ე.წ. „ელიტარული ინტელიგენციაც“, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმპათიით „კანონიერი ქურდებისა“ და კრიმინალური სამყაროსადმი. რაც ერთისმხრივ განისაზღვრებოდა საბჭოთა პერიოდში არსებული ეკონომიკური კავშირებით (ე.წ. „ცეხავიკების“ მფარველობა და სხვა), ხოლო მეორეს მხრივ, გამოიხატებოდა ზოგიერთ „მხატვრულ ნაწარმოებში“ კრიმინალური ნაძირალების ჰეროიზაციით. ედუარდ შევარდნაძეს შესანიშნავად ესმოდა, რომ ჯაბა იოსელიანს ელიტარული ინტელიგენცია მას ასე ადვილად არ დაანებებდა. ამიტომ „მხედრიონის“ წინააღმდეგ მისი მოქმედება გაცილებით უფრო ფრთხილი, წინდახედული და თანდათანობითი იყო. 1995 წლის გაზაფხულიდანვე დაიწყო ფართომასშტაბიანი შეტევა მხედრიონის წინააღმდეგ.

შევარდნაძეს მხოლოდ `კაზუს ხელი` (ომის მიზეზი) სჭირდებოდა და ასეთი ინციდენტიც შედგა რუსთავში, როდესაც გიგა გელაშვილმა და თემურ ხაჩიშვილმა სახელმწიფო მეთაურის რწმუნებულს თავპირი დაამტკრიეს. მაშინ ცოტამ თუ შეამჩნია, რომ `ომის მიზეზი` თვით შევარდნაძემ შექმნა. მან თუმცა შესანიშნავად იცოდა: მარნეულსა და ქვემო ქართლში მხედრიონის ქვედანაყოფების განიარაღება უეჭველად გამოიწვევდა ჯაბა იოსელიანისა და მისი `ბიჭების` გააფთრებას და მათი ემოციურობის გათვალისწინებით ისინი უეჭველად დაუშვებდნენ შეცდომებს. ... მაგრამ, შევარდნაძე, შესაძლოა, ვერც წარმოიდგენდა, თუ მხედრიონი მისი ფიზიკური განადგურებით მოინდომებდა პრობლემის გადაწყვეტას...

1995 წლის ბოლოსთვის მოხდა კრიმინალთა პოლიტიზაციისა და პოლიტიკის კრიმინალიზაციის პროცესის შეჩერება. ამ მოვლენებს კი სათავე დაელი 1995 წლის მარტში ჩატარებული სპეცოპერაციით, რომლის ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა ობოლაძემ 1995 წლის 3 მარტს რუსთავში მთავრობის ძალოვანი უწყებების გაფართოებულ თათბირზე პრეზიდენტ შევარდნაძის დადებითი შეფასება დაიმსახურა. ბ.ობოლაძის მისამართით ითქვა, რომ პრეზიდენტი მიესალმება მის დაწყებულ საქმიანობას და მას უშიშროების სინდისი და ნამუსი უწოდა. სპეცოპერაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ 6 მარტს, ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში აღნიშნა: „**კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ შეტევა გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება. ასეთი ღონისძიება განხორციელდა ამ რამდენიმე დღის წინათ წითელი ხიდის რაიონში (მარნეულის რაიონი), რომელიც აზერბაიჯანიდან, ცენტრალური აზიიდან, ირანიდან, თურქეთისა და დასავლეთის ქვეყნებისაკენ მომავალი ცენტრალური მაგისტრალია. ასეთი ღონისძიება განხორციელდა აგრეთვე, მარნეულში, ტრასებზე. მიწა ვისარგებლო ამ შემთხვევით და მაღლობა გამოვუცხადო ამ ოპერაციის მონაწილეებს. ოპერაცია ტრასებზე წესრიგის დასამყარებლად გრძელდება. რეგიონის მთელი მოსახლეობა მიესალმება ამ აქციებს. მიწა გამოვყო მარნეულის რაიონის ახალი ხელმძღვანელობის (გამგებელი ბესიკ ობოლაძე) მუშაობა, რის შედეგადაც სახელმწიფო საღაროში მილიონობით**

რუსული რუბლი, დიდი რაოდენობით დოლარი და მილიარდობით კუპონი შემოვიდა, მაშინ როცა თვეებისა და წლების მანძილზე, პრაქტიკულად არაფერი შემოდებოდა. (აი, ერთ-ერთი მაგალითი: მარტო ერთი დღის განმავლობაში ბაზრიდან 16 მილიონი რუსული რუბლი შემოვიდა). დარწმუნებული ვარ, ეს თანხები (მხედველობაში მაქვს შემოსავლები არამარტო ბაზრიდან, არამედ მთლიანად ტრასიდან) კიდევ უფრო გაიზრდება და საკმაოდ დიდი რაოდენობის დოლარებში იქნება გამოსატული. ეს ყველაფერი შეიარაღებული ბანდიტების ჯიბეში მიდიოდა. უხეში გაანგარიშებით, მარტო წითელ ხიდთან ყოველდღიურად ისინი ითვისებდნენ (უფრო სწორად ძარცვავდნენ) 5 მილიონ რუსულ რუბლს. გუშინდელი და დღევანდელი ღონისძიებანი დაადასტურებენ, თუ რა თანხა შეიძლება შემოვიდეს ამ ტრასიდან.

მარნეულში აღმოაჩინეს და ჩამორთმეულია (ამაზე ილაპარაკა რუსთავში მარნეულის გამგებელმა ბატონმა ობოლაძემ, მისი გამოსვლა განსაკუთრებული სიმწვავეთა და საქმიანი ხასიათით გამოირჩეოდა) უკანონოდ გადამალული იარაღი. რა უნდა საფოსტო განყოფილებაში (ვითომ ვიღაცის შტაბბინაში) იარაღს, ასაფეთქებელ მასალებს, ტყვიამფრქვევებს და ა.შ.

გამოხდომა რუსთავში მწვავე რეაქცია გახლდათ. ლაპარაკია იმაზე, რომ შესაბამის ორგანოებს უნდა ჩამოერთვათ უკანონოდ შენახული იარაღი და ეს კიდევ გააკეთეს. მინდა უცხოელ ბიზნესმენტა და ბანკირთა გასაგონად ვთქვა: ეს დესტრუქციული ძალების ბოლო გაბრძოლებაა. სახელმწიფო წესრიგი მყარდება, ეს პროცესები შეუქცევადია და საქართველო თქვენი ღირსეული პარტნიორი იქნება.

ვინც ეს გამოხდომა მოაწყო, მას არ უნდა, რომ საქართველოში ნავთობსადენი და გაზსადენი გავიდეს, მას არ უნდა, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყნად გადაიქცეს. ეს ხომ ბოლოს და ბოლოს, გარკვეული დროის შემდეგ, მილიონობით დოლარს შემოიტანს ჩვენი სახელმწიფოს საღაროში და ხალხის, ქვეყნის კეთილდღეობას მოხმარდება. სწორედ ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ, უნდათ თუ არ უნდათ ეს, ესმით თუ არ ესმით. ფაქტობრივად, ეს ასეა.

.ხოლო დამნაშავეთა დასჯასთან ერთად ახლა მთავარია ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი, თუ ეს ძალიან გაცვეთილი არ არის, საჭიროა ზარების შემოკვრა ყველას გასაგონად. საზოგადოება, ხალხი მსგავს ადარავის აპატიებს.

მინდა შევახსენო რადიომსმენელს, რომ არცერთი დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება არ მომხდარა სერიოზული კატაკლიზმებისა და, მძიმე ექსცესების გარეშე. დემოკრატიის კლასიკურ ქვეყნებისც კი, რომლების სამოქალაქო ომებისა და დიდი სოციალური ხანძრების შემდეგ ბოლოსდაბოლოს დაადგნენ ამ გზას, იგი ეკლიანი და მძიმე იყო. გამოსავალი დემოკრატიაზე უარის თქმა კი არ არის, არამედ დემოკრატიული ინსტიტუტების, დემოკრატიული ცხოვრების წესის ეფექტიანი და გარანტირებული დაცვაა. დემოკრატიული სახელმწიფო უნდა იყოს ძლიერი, უნდა შეძლოს დემოკრატიის მონაპოვართა დაცვა. თუ ამას ვერ შეძლებს, მაშინ ჩნდება ნოსტალგიაც ... არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ იქითკენ წაიყვანონ ქვეყანა.“

თუმცა საქმე არც ისე მარტივად იყო: 1995 წლის დასაწყისისათვის, ქვეყანაში სახეზე გვექონდა კონმფრომიზმსა და მორჩილთა ნებაზე აგებული საზოგადოებრივი პირამიდა. 1995 წლის 2-3 მარტის მამულები სპეცოპერაცია მარნეულსა და ქვემო ქართლის რეგიონში სწორედ ასეთი პირამიდის უზრუნველყოფი მექანიზმის წინააღმდეგ გალაშქრებად შეგვიძლია განვიხილოთ, რასაც მოგვიანებით მთელი ქვეყნის მასშტაბით მოჰყვა შეუქცევადი პროცესები. რატომ უნდა ოპერაციის დამგეგმავებს და განმხორციელებლებს გააზრებული ჰქონდათ, რომ ასეთი პირამიდის რღვევა ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე ვერ მოხდებოდა. მართალია ადგილზე არსებობდა საზოგადოებრივი მხარდაჭერა (რასაც ვერ ვიტყვით მთელი რესპუბლიკის მასშტაბით), მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკურ მხარდაჭერას, ე.შევარდნაძემ სპეცოპერაციის ბრძანება კი გასცა, მაგრამ გარდაიქმნებოდა თუ არა იგი მკაფიო პოლიტიკურ მხარდაჭერად ამის პროგნოზირება იმ მომენტში ძნელი იყო.

1995 წლის 4 მარტის რუსთავში ძალოვანი უწყებების გაფართოებული თათბირი, რომელსაც საზოგადოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, უნდა განვიხილოთ, როგორც ტესტი კონფორმიზმზე აგებული ზემოთნახსენები საზოგადოებრივი პირამიდის მდგრადობისათვის. იმ პირამიდის მდგრადობისათვის, რომელიც აგებულია დაკმაყოფილებული და დაუკმაყოფილებელი კონფრომისტების ერთობაზე. ამ პირამიდის სტრუქტურაში დაუკმაყოფილებელი კონფრომისტები პირამიდის ფუნდამენტშია ჩაბეტონებული. მაგრამ ისინი ისევე მოიქცევიან, როგორც დაკმაყოფილებული კონფრომისტები, თუკი კონსტრუქცია მათთვის სასარგებლოდ ამოტრიალდება. ასეთი საზოგადოება არ არის მოწოდებული ამ მახინჯი კონსტრუქციის რღვევასა და ჯანსაღი სისტემის ფორმირებისაკენ. აი ასეთი სისტემის ბირთვი იყო შეკრებილი რუსთავის მერიის სხდომათა დარბაზში 4 მარტს. ბობოლაძეს და მის თანამოაზრეებს ამჯერად სიტყვით, არგუმენტებით, უნდა დაესაბუთებინათ არსებული სტატუს-კვოს რღვევის აუცილებლობა. მაგრამ მათი არგუმენტები როგორი შთამბეჭდავიც არ უნდა ყოფილიყო, აუცილებელი იყო მხარდაჭერის სიგნალი საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. მხოლოდ ასეთი მხარდაჭერის შემთხვევაში შეიძლებოდა ეშვარდნაძის მკაფიო პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება, რომელიც მკაცრი არბიტრით აკვირდებოდა დარბაზში ძალთა ბალანსს. საბედნიეროდ იმ დარბაზში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გაახმოვანეს ჯანსაღი საზოგადოების სიგნალი ცვლილებებისაკენ და მისცეს პოლიტიკური მხარდაჭერის საფუძველი რეგიონში განხორციელებულ ღონისძიებებსაც და მოგვიანებით ქვეყნის მასშტაბით განვითარებულ მოვლენებს. ცხოვრებამ აჩვენა, რომ მრავალეთნიკურ მარნეულის რაიონში ნამდვილად მოხდა იმ სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც საფუძველია საზოგადოებრივ პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს ნორმალური განვითარებისათვის, თავიდან იქნა აცილებული ეთნოკონფლიქტები და ის მძიმე შედეგები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

წინამდებარე წიგნი არის მცდელობა დოკუმენტურ, ოფიციალურ მონაცემებზე (მთავრობის გაფართოებული სხდომები 1995 წლის 3 მარტი რუსთავში, თბილისში, ივლისში, პრეზიდენტ შევარდნაძის ბრძანებულებები, რადიოინტერვიუები და ა.შ.), აგრეთვე იმ პერიოდის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით აისახოს, 1995 წლის პოლიტიკური ანგარიშწორების ქრონიკა და ის პოზიტიური ცვლილებები, რომელმაც შეუქცევადი გახადა ქვემოქართლის რეგიონში სტაბილურობა.